# სახალხო ფურცელი

№ 810 შაბათი 4 მარტი 1917 წ. 810



განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო ფურცელი

კვირეული სურათებიანი დამატებით

ღირს:

ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.

ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება ნაწილნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.

1 მარტიდან წლის დამლევამდე ღირს 13 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

მისამართის გამოცვლა ღირს 1 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.

საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели“, почтов. ящикъ 190.



ღრმად დამწუხრებულნი: ივანე და ბენიამინე იოსების ძენი, ანნა და მელანია იოსების ასულნი ინდუაშვილნი, ბარბარე იოსების ასული გძელიძისა და ნატალია იოსების ასული ინდუაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა საყვარელის და დაუვიწყარის დედის, ხოლო უკანასკნელის დედამთილის

მარიამ გიორგის ასულის

ინდუაშვილის

გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი 5 მარტს, 9-ნახევარ საათზე, პეტრე-პავლეს ეკლესიაში. 78

მშობლები: ხოსრომ ივანეს ძე და ანასტასია ანდრიას ასული ზუდეინიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 მარტს, იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი მათის დაუვიწყარის და საყვარელი შვილის

ილიკოს

სულის მოსახსენებლად, ქ. გორის საკრებულო ტაძარში. პანაშვიდი დაიწყება 11-ნახევარ ს. 1077

მეუღლე მარიამ ანთაძე შვილებით, ძმები: სამსონ, ალექსანდრე და იოსებ ანთაძეები, დები: ნინო და მარიამ ნაკაშიძეები, ეკატერინე ფონ-კრემერ და ელისაბედ ანთაძე, სიძეები: ილია და ალექსანდრე ნაკაშიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

დავით იოსების ძის ანთაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი შაბათს, 4 მარტს, საღამოს 7 ს., მამადავითის ქუჩა, 2, ი. ნაკაშიძის ბინა. გამოსვენება და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, კვირას, 5 მარტს, დილის $9\frac{1}{4}$ ს. 2781

ხვალ, 5 მარტს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პოლკოვნიკის

ალექსანდრე იოსების ძის

ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ეკატერინე იოსების ასული შვილებით იაკობით და გიორგით. წირვა დაიწყება დილის 10 ს. და პანაშვიდი 12 ს. 279

ექიმი ქალი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 6—7 საათ. [illegible] ქუჩა 1[illegible] კირპიჩნი ქუჩის შესახვევი 21

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

[illegible]

იღებს [illegible] $1\frac{1}{2}$ საათამდე, კვირა [illegible] გარდა.

[illegible] № 1.

[illegible] 18—67 9140

ექიმი

ე. ლ. ფალავანდიძე

იღებს საზებირო საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმმა

ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82 216

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 36, შესავ. სარდაფიდი. 1059

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის, ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ქუთაისში

ექიმი

მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

ექიმი

ა. ბ. ნანიტაშვილი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5\frac{1}{2}$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

საექიმო კაბინეტი ექიმ

კ. ს. ფონ-ირტელის

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქეს., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. თირკმელის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახვ. კოლოდ. ქ. 1. შესავ. კარი. 1852

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1008

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.


# განთავისუფლებული რუსეთი

**ტფილისი, 4 მარტი, 1917 წ.**

**თავისუფალი რუსეთი.** ამ რამდენიმე დღის წინად, რომელსაც ჯერ კიდევ არა ვიცოდით რა პეტროგრადის ამბებისა, ჯერ კიდევ არ იყო დათხოვნილი სახელმწიფო სათათბირო და ცოცხალ-მკვდარი ძლივსა დაფოფხავდა სულს,—მწარედ ვამბობდით: საშინელია რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა—მძარცველები და ყაჩაღები, ყოვლად უნიჭო და უვარგისი მოხელეები დაპატრონებიან სახელმწიფოს, რომელთაც უფსკრულამდე მიიყვანეს ქვეყანა, სახელმწიფო ლპება, ინგრევა, ილუპება, მაგრამ ამის უფრო საშინელი ისაა, რომ ამ უდიდეს განსაცდელის დროს არა სჩანან მამულიშვილები, არა სჩანს ჯგუფი, დაწესებულება, რომელმაც შემოიკრიბოს გარშემო საღი ძალები და დროზე უშველოს სულთმობრძავ სახელმწიფოს!..

მაგრამ ხალხის გულში დაგროვილმა ნადველმა ამოხეთქა. უკიდურესმა გასაჭირმა, უპატრონობამ, შევიწროვებამ უუფლებობამ ქუჩაში გამოიყვანა ხალხი. მიდუნებული სული გამოცოცხლდა, მიმქრალი ცეცხლი აღინთო, მიძინებული ენერგია ამოძრავდა და ჩვენს წინ წარმოსდგა ერი შემოქმედი, ღირსებით აღჭურვილი, თავის უფლებისთვის მებრძოლი და თავდადებული... აღსრულდა! მოხდა, რაც დიდი ხანია მოსალოდნელი იყო. მოხდა, რაც უნდა განხორციელებულიყო ჯერ კიდევ ამ თორმეტი წლის წინად და რის დროზე შესრულება დაიხსნიდა რუსეთს ათასგვარ დამცირებასა და განადგურებისაგან. ხალხის ხმას არ მიჰყვნენ მაშინ ლიბერალები, ზომიერი ელემენტები, რომელთაც მხოლოდ დღეს დაინახეს, უფსკრულის პირას, აუცილებლობა რუსეთის სახელმწიფოებრივ წესწყობილების სრულის გარდაქმნისა. მაგრამ ისევ გვიან, ვიდრე არასოდეს, როგორც რუსები იტყვიან.

პეტროგრადში მომხდარ ამბებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსის ერის ცხოვრებისთვის. ამის მსგავსი აქტი მეორე არ ახსოვს მის ისტორიას. რაც უნდა დაჰკარგოს ამ ომში, კიდეც რომ ვერ დაიბრუნოს გერმანიის მიერ წართმეული ადგილები, კიდეც რომ დამარცხდეს ბრძოლის ველზე, ყველაფერი ეს არარაა შედარებით იმ გამარჯვებასთან, რომელიც მოიპოვა ძველის რეჟიმის დამსხვრევითა და სამუდამოთ დამარხვით.

ამიერიდან უზრუნველყოფილია მისი პოლიტიკური სიძლიერე. იგი დაადგა გზას, რომელიც ადრე თუ გვიან, რაც უნდა დაბრკოლება შეხვდეს წინ, მიიყვანს სრულს კულტურულს და ეკონომიურ აყვავებამდე. ესაა გზა უფლებისა, თვითშემოქმედებისა, თავისუფლებისა; ესაა ფართო ასპარეზი დემოკრატიის მოღვაწეობისა, ესაა განხორციელება სახალხო პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმებისა; ესაა დამყარება პარლამენტარული მართველობისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ყოველი მოქალაქის თავისუფლებას, მის მონაწილეობას სახელმწიფოებრივ საქმეებში, რომელიც დაამყარებს მკაცრს პასუხისმგებლობას ყოველის მართველისათვის, იქნება იგი მინისტრი თუ დაბალი მოხელე. ეს დაამკვიდრებს თანასწორობას მოქალაქეთა შორის, მოსპობს სხვა და სხვა პრივილეგიებს, მოსპობს შევიწროვებას პოლიტიკურს, სარწმუნოებრივს და სხვას და გზა გაეხსნება ყოველნაირს ინიციატივას და თვითშემოქმედებას...

უეჭველია ყოველივე ეს ხელს შეუწყობს რუსეთის ყოველმხრივ დაწინაურებას, ქონებრივ ზრდას, კულტურულ განვითარებას, პოლიტიკურს მოღონიერებას. უეჭველია ისიც, რომ რუსეთის წესწყობილების გარდაქმნა ღრმა გავლენას მოახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ჩვენი სამშობლო რუსეთის ნაწილია და ძირითადი რეფორმების ზედმოქმედებას აუცილებლად განიცდის საქართველოც. პოლიტიკური თავისუფლება საშუალებას მოგვცემს უფრო ფართოდ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ეროვნული საჭიროებანი, უფრო თავისუფლად ვიბრძოლოთ ჩვენი ერის უფლებათა აღდგენისათვის.

მაგრამ დღევანდელს ისტორიულს დღეს არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ძველი რეჟიმის გაუქმება და ახალის დაწესება რუსეთში ჯერ კიდევ არ სწყვეტს საქართველოს საკითხს, ეს ოდნავად არ ნიშნავს ჩვენი ბრძოლის შესუსტებას ან შეჩერებას. პირიქით, შესაძლებელია ახალს პირობებში ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდეს. ევროპაში ბევრგანაა თავისუფალი პარლამენტარული მართველობა, მაგრამ ერების ჩაგვრა და შევიწროვება არაა მოსპობილი. ინგლისი თავისუფლების სამშობლოდ ითვლება, მაგრამ კარგად ვიცით, თუ რას განიცდის მის ხელში ირლანდია...

რუსეთში მრავალი ერი ცხოვრობს, ყველას თავისებური კულტურა და ცხოვრება აქვს. აუცილებლად საჭიროა მათი თავისებურობის დაცვა და უზრუნველყოფა, ეს კი შესაძლებელია არა მხოლოდ საზოგადო პოლიტიკური თავისუფლების დამყარებით, არამედ ყოველს ერს უნდა მიენიჭოს პოლიტიკური თვითმმართველობა თავის შინაურის საქმეებში. ეს ოდნავად არ შეარყევს რუსეთის მთლიანობას და სიძლიერეს, პირიქით უფრო განამტკიცებს სხვა და სხვა შემადგენელ ნაწილების ერთობას და სახელმწიფოც ერთსულოვანი და ერთხმიანი იქნება. ყოველივე ეს ნათლად უნდა გაითვალისწინონ დღევანდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ააგონ ახალი რუსეთი ისეთის საფუძველზე, რომელსაც ვერაფერი შეარყევს...

კერძოდ ქართველებმა უნდა მოაგონონ განთავისუფლებულ რუსეთს ჩვენი ეროვნული არსებობის და განვითარების აუცილებელი პირობა. ესაა ჩვენი ქვეყნის ავტონომია, რომელსაც საკმაოდ გამორკვეული სახე აქვს და ურომლისოდ ჩვენს ერს ვერ წარმოუდგენია თავისი მომავალი. ჩვენ სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ პოლიტიკური თვითმართველობა ჩვენს შინაურს ცხოვრებაში... ქართველები ყოველთვის ერთგული მოქალაქენი იყვნენ რუსეთის სახელმწიფოსი: თავგამოდებულად იომობდნენ გარეშე მტრის წინააღმდეგ და მუდამ მხარში უდგნენ რუსებს პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებაში. განახლებულ რუსეთში საქართველოს წილი აქვს და მისი ყოვლად სამართლიანი და საფუძვლიანი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს...

ამიტომ სავსე გულით მივესალმებით განთავისუფლებულს რუსის ერს:

გაუმარჯოს თავისუფალს, დემოკრატიულს რუსეთს!

გაუმარჯოს აღდგენილს საქართველოს!..

## როძიანკოს მოწოდება ჯარისა და ფლოტისადმი

სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი, რომელმაც ხელთ იგდო უფლება ცხოვრების ახალი პირობების შექმნისა და სატახტო ქალაქის მართვა-გამგეობა — მოუწოდებს მოქმედ ჯარს და ფლოტს დაიცვას მშვიდობიანობა და დარწმუნებულია, რომ საერთო საქმე მტრის წინააღმდეგ ერთს წუთსაც არ შეფერხდება და არც შეჩერდება. ისევე მედგრად და ვაჟკაცურად განაგრძეთ სამშობლოს დაცვა, როგორც აქამდე. დროებით კომიტეტს თანაუგრძნობს სატახტო ქალაქის ჯარი, იგი ახლო მომავალში დაამყარებს ყველგან მშვიდობიანობას და მთავრობის დაწესებულებებს მოაგვარებს.

დაე თავის მხრით ყოველმა აფიცერმა, ჯარისკაცმა და მეზღვაურმა აღასრულოს წმინდად თავისი მოვალეობა და ახსოვდეს, რომ დისციპლინა და წესიერება საუკეთესო პირობაა ძველი მთავრობის მიერ შექმნილ მდგომარეობის მოსპობისა და ახლი ძლიერი მთავრობის შექმნისა.

სახ. სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო.

## ახალი მთავრობა

**პეტროგრადი.** 1 მარტი. სახელმწიფო სათათბიროს უხუცესთა საბჭო შეიკრიბა 28 თებერვალს სასწრაფო სხდომაზე, მოისმინა სათათბიროს დათხოვნის ბრძანება და გადასწყვიტა: სახელმწიფო სათათბირო არ უნდა დაიშალოს და ყველა დეპუტატი თავის ადგილზე დარჩეს.

იბეჭდება აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით.

**პეტროგრადი.** 1 მარტი. პირველი დეპეშა როძიანკოსი მეფისადმი:

„მდგომარეობა სერიოზულია. ქალაქში ანარქიაა. მთავრობა დაუძლურებულა. ტრანსპორტი, სურსათ-სანოვაგე და საწვავი მასალა აშლილ არის. საერთო უკმაყოფილება იზრდება, ქუჩებში უთავბოლო სროლაა. ჯარის ნაწილები ერთმანეთს ესვრიან, საჭიროა საჩქაროდ მიენდოს პატივცემულ პირს ახალი მთავრობის შედგენა. დაყოვნება შეუძლებელია, იგი სიკვდილს უდრის. ღმერთსა ვსთხოვ, რომ ამ განწირულების ჟამს გვირგვინოსანს არ დააკისროს მწარე პასუხის მგებლობა“.

იმავე დღეს როძიანკომ ტელეგრაფით შეატყობინა ყველა ჯარის უფროსებს ზემოხსენებულ დეპეშის შინაარსი და სთხოვა: თქვენც დამიჭირეთ ამ თხოვნაში მხარიო.

**პეტროგრადი.** სახ. საბჭოს წევრების დეპეშა მეფეს. „თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ! ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, სახ. საბჭოს არჩეული წევრნი, აღვიარებთ, რა რომ რუსეთს დიდი განსაცდელი დასდგომია, მოგმართავთ თქვენ, რათა აღვასრულოთ მოვალეობა თქვენ და რუსეთისადმი. ტრანსპორტის შეჩერების და მასალების უქონლობის გამო ფაბრიკა-ქარხნები გაჩერებულია. უმუშევრობამ და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ ხალხი მწარე საგონებელს ჩააგდო. ეს მდგომარეობა გამწვავდა აგრეთვე იმ სიძულვილმა მთავრობისადმი, რომელსაც ღრმად დაბუდებულია ხალხის გულში. ყველაფერი ეს სტიქიურად ხალხის მოძრაობაც გამოიხატა და ამას ჯარიც მიემხრო. მთავრობა რომელსაც თავის დღეში არ ჰქონია ქვეყნის ნდობა—უძლურია მდგომარეობა გამოსცვალოს. ხელმწიფევ! ახლანდელი მთავრობის დარჩენა ნიშნავს წესიერების სრულ დარღვევას, გამოიწვევს ომში დამარცხებას დინასტიის დაღუპვას და რუსეთს დიდ უბედურებას განუმზადებს. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია გირჩიოთ შინაურ პოლიტიკის შეცვლა, რაც უკვე მრავალჯერ ურჩევია ხალხის წარმომადგენლებსა. თქვენ ახლავე უნდა მოიწვიოთ საკანონმდებლო დაწესებულებანი, გადააყენოთ ძველი მთავრობა. ჩვენ წარმოგიდგენთ ახალ მთავრობის წევრების სიას და თქვენ იგი უნდა დაამტკიცოთ. ყოველი საათი ძვირფასია, რყევა და საკითხის გადადება შეუძლებელია. თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის კეთილ-ქვეშევრდომნი სახელმწიფო საბჭოს წევრები.

**პეტროგრადი.** 1 მარტი. სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა და მუშათა დეპუტატების საბჭომ ამნაირ მოწოდებით მიმართავს ხალხს:

მოქალაქენო! დიდი საქმე მოხდა. ძველი მთავრობა, რუსეთი რომ დაღუპა, დაიღალა. სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა და მუშათა დეპუტატების საბჭო აარსებს ახალ მთავრობას და წესიერებას აღადგენს. ახლა უმთავრესი საშუშაო —ხალხისა და ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებაა. ჩვენ დავაარსეთ სასურსათო კომისია. იგი განაგებს ყოველ საქმეს. სურსათ-სანოვაგე ძალიან ცოტაა, საჭიროა მისი დამზადება. რუსეთის მოქალაქენო, მიწის მუშებს, მემამულენო, სავაჭროში მოსამსახურენო, რკინის გზის მუშებო! დაეხმარეთ სამშობლოს! საჭიროა ხალხის და არმიის გამოკვება. ჯერ ხომ მტერი არ დამარცხებულა. დაე ამ განწირულების ჟამს ნურავინ აიღებს ხელს მოვალეობის ასრულებაზე. ყველამ, როგორც ერთმა ადამიანმა, ხელი გამოგვიწოდეთ. დაე ყოველის მოქალაქის სინიდისმა უკარნახოს ეს. სწრაფად გადაეცით პური რწმუნებულებს, მიიტანეთ იგი ნავთსადგურებსა და სადგურებზე. სამშობლო მთელის

ქვენგან საერთო დახმარებას. მიაოდეთ მებრძოლებს და მუშებს პური. აყოვნება შეუძლებელია. ნუ იგვიანებთ, მოქალაქენო, დაეხმარეთ სამშობლოს პურითა და შრომითა!

**პეტროგრადი.** 1 მარტი. სახ. სათათბიროს დროებით აღმასრულებელმა კომიტეტმა სამინისტროების გამგეებად განსაკუთრებული კომისარები დანიშნა სათათბიროს წევრებიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს განაგებენ—კაპნისტსი, მასლენნიკოვი, ეფრემოვი და არეფიევი. ფოსტას—ბაიშნიკოვი და ჩერნოსვიტოვი, ტელეგრაფს—გრონსკი და კალუგინი, სამხედროს და საზღვაოს—სავიჩი და საპატეევი, პეტროგრადის საგრადონაჩალნიკოს—გერასიმოვი და პეპელიაევი, მიწათმოქმედების სამინისტროს—ვოლკოვი, დემიდოვი, ვასილჩიკოვი და კაპნისტ 1-ლი, იუსტიციის სამინისტროს—მაკლაკოვი, აჯემოვი და ბასკაკოვი, ვაჭრობის სამინისტროს—როძიანკო მე-2 და როსტოვცევი, ფინანსთა სამინისტროს—ვინოგრადოვი და ტიტოვი, სენატს განაგებს—გოდნევი.

**პეტროგრადი.** 1 მარტი. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტისაგან.

ძველი მთავრობისაგან გამოწვეულმა არევ-დარევამ გვაიძულა ხელთ აგვეღო სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესიერების აღდგენის საქმე. ჩვენ კარგად ვგრძნობთ ამის სიდიადეს და სიძნელეს და იმედი გვაქვს, რომ მცხოვრებნი დაგვეხმარებიან ახალ მთავრობის შედგენის ძნელ საქმეში, რათა ისეთი ხალხი მოჰყვნენ, რომელთაც ნდომა ექნებათ ხალხისა.

სათათბიროს თავმჯდომარე მიხ. როძიანკო. 1917 წლის 27 თებერვალი. იბეჭდება აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს დროებით განაგებს დეპუტატი გრონსკი.

## აღმასრულებელი კომიტეტის წევრები

მოგვყავს მოკლე საბიოგრაფიო ცნობები სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა, რომელთაც ხელთ იგდეს სახელმწიფოს ძალა-უფლება.

**როძიანკო** მიხ. ვლადიმირის ძე, დაიბადა 1859 წელს, სათათბიროს თავმჯდომარე, ოქტომბრისტი, დეპუტატია ეკატერინოსლავის გუბერნიიდან. უმაღლეს კარის კამერჰერი.

**კერენსკი** ალექს. თევდ. დაიბადა 1881 წელს. შრომის ჯგუფის ლიდერი. ნაფიცი ვექილი, არჩეულია სარატოვის გუბერნიიდან, მშვენიერი ორატორია. მშრომელ ხალხში დიდი სახელი აქვს. ლენის ამბების დროს პირადად ინახულა ლენის ოქროს მადნების ქარხნები და საქმე გამოიძია.

**ჩხეიძე** ნიკ. სიმ. დაიბადა 1863 წელს, სოციალ-დემოკრატია. ტფილისის გუბერნიიდან არის არჩეული. ტფილისის ქალ. საბჭოს ხმოსნად იყო. დეპუტატად იყო მესამისა და მე-4 სათათბიროში.

**შულგინი** ვასილი ვიტ. დაიბადა 1878 წელს, ნაციონალისტია. ვოლინის გუბერნიიდანაა არჩეული. გაზეთ „კიევლიანინის" ხელმძღვანელია. ბეილისის საქმის და ომის გავლენით ძალიან გამემარცხენდა. მე-2, მე-3 და მე-4 სათათბიროს დეპუტატად.

**მილიუკოვი** პავლე ნიკ. დაიბადა 1859 წ. კადეტთა პარტიის ლიდერია. პეტროგრადის დეპუტატია. ნიჭიერი ისტორიკოსი და პუბლიცისტია. „რეჩის" რედაქტორი. მე-3 და მე-4 სათათბიროს დეპუტატია.

**კარაულოვი** მიხ. ალექს. დაიბადა 1878 წელს. თერგის ოლქიდან. აფიცერია. დეპუტატია მე-2 სათათბიროდან.

**კონოვალოვი** ალ. ივ. დაიბადა 1975 წ. პროგრესისტია.

**დმიტრიუკოვი** ივ. ივანეს ძე, დაიბადა 1872 წ. ოქტომბრისტია, კალუგის გუბერნიდან.

**რჟევსკი** ვლადიმ. ალექს. დაიბადა 1866 წელს. პროგრესისტი. მოსკოვის დეპუტატია. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაა.

**შიდლოვსკი** სერგ. ილ. დაიბადა 1861 წ. ოქტომბრისტი. ვორონეჟის გუბ. დეპუტატია.

**ნეკრასოვი** ნიკ. ბესარ. დაიბადა 1879 წ. მემარცხენე კადეტია. სტატისტიკის პროფესორია. ტომსკის გუბ. დეპუტატია.

**ლვოვი** ვლად. ნიკოლოზის ძე დაიბადა 1872 წელს ცენტრის ჯგუფელია. სამარის გუბერნიის დეპუტატია. საეკლესიო საქმეების კარგი მცოდნეა. დეპუტატია მე-3 სათათბიროდან.

## როძიანკოს დეპეშა ჩელნოკოვს

მოსკოვის ქალაქის მოურავმა ჩელნოკოვმა როძიანკოსაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ძველი მთავრობა აღარ არსებობს. შინაგან საქმეთა მინისტრი დაპატიმრებულია ძალა-უფლება აღმასრულებელმა კომიტეტმა იგდო ხელთ ჩემის თავმჯდომარეობით. ჯარმა ახალი მთავრობა აღიარა. ქალაქში მშვიდობიანობა აღვადგინეთ. მოსკოვის ჯარის უფროსს მოროზოვსკის წინადადება მივეცი დამორჩილებოდა და აღვნიშნეთ რომ მთელი პასუხისმგებლობა მოსალოდნელ სისხლის ღვრის გამო მას დაეკისრება. როძიანკო.

მოსკოვი ახალ მთავრობას მიემხრო. ქუჩებში უმნიშვნელო შეტაკებებია. დემოკრატიულ წრეების და საზოგადო მოღვაწეთაგან კომიტეტი შედგა. ჯერ დაწვრილებითი ცნობები არაა ამ ამბების შესახებ.



მ. II. დ. ალექსი ნიკოლოზის ძე.

## დეპეშები

**პეტროგრადი,** 2 მარტი. კავკასიის არმიის მთავარ-სარდლმა დიდმა მთავრმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ როძიანკოს ტფილისიდან შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„გენერალ-ადიუტანტ ალექსეევის აზრის თანახმად მე მივმართე ხელმწიფე იმპერატორს უმორჩილესი თხოვნით, რათა რუსეთის ხსნისა და ომის ძლევამოსილად დასამთავრებლად მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც თქვენ მიგაჩნევიათ ერთად-ერთ გამოსავალ გზად ამ განწირულ მდგომარეობიდან. კავკასიის ჯარის მთავარსარდალი გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი".

**პეტროგრადი,** 2 მარტი. ფინანსთა სამინისტროს კომისარი დეპუტატი ტიტოვი მოელაპარაკა მინისტრების თანაშემწეებს, რომელთაც ძალიან გაეხარდათ, როცა გაიგეს, რომ მათგან მოითხოვენ ნორმალურ წესების აღდგენას. ყველაფერი კომისარებს უნდა წარედგინოს განსახილველად. გადაწყვეტილია ბანკებს განსაკუთრებული მცველები მიუჩინონ და გააღონ. გადაწყვეტილია აგრეთვე ჯარისკაცების ცოლებს ისევ ფული აძლიონ.

**პეტროგრადი.** აღმასრულებელ კომიტეტს მოუვიდა ვოლოგდიდან და რიბინსკიდან მისალოცი დეპეშები. ისინი, სხვათა შორის, ამნისტიას მოითხოვენ. აურებელი მისალოცი და თანაზიარობის დეპეშები მოსდის აღმასრულებელ კომიტეტს სხვა და სხვა მხრიდან.

## სუხომლინოვი

**პეტროგრადი.** თავრიდის სასახლეში მიიყვანეს დაპატიმრებული ნამინისტრალი სუხომლინოვი, ჯარმა მოითხოვა ეპოლეტები და ყოველგვარი ჩინი აეყარათ მისთვის. პაგონები აჰგლიჯეს და საჯაროდ უჩვენეს პრეობრაჟენსკი პოლკს. ჯარმა თავისი დელეგატი ამოირჩია, რომელსაც ჩააბარეს სუხომლინოვის პაგონები. ჯარი სუხომლინოვს მოკვლას აპირებდა, მაგრამ დაუშალეს. მოიტანეს სუხომლინოვის პალტო, რომელსაც სუხომლინოვმა თავისივე დანით აჰჭრა პაგონები. ვიღაცამ დაიძახა: ააგლიჯეთ წმ. გიორგის ჯვარიცაო. უპასუხეს: მაგას სასამართლო ააგლეჯსო. სუხომლინოვი წაიყვანეს სამინისტროს პავილიონში. რომ არაფერი დაეშავებინათ მისთვის, წინ უძღოდნენ დეპუტატები, აგრეთვე ჯარის-კაცები ჰყავნდა გარს შემორტყმული. პრეობრაჟენელებმა ხმა ამოუღებლივ გაატარეს იგი. როდესაც პავილიონის კარები მიიკეტა, კერენსკიმ დარაჯებს მიმართა: ჯარის კაცებო! სამხედრო მინისტრად ნამყოფი სუხომლინოვი დაპატიმრებულია და იმყოფება სათათბიროს დროებით კომიტეტის მფარველობის ქვეშ. თუ თქვენ კანონიერი სიძულვილით აღშფოთებულთ რაიმე ძალადობა იხმარეთ მათ წინააღმდეგ, ამით თქვენ გაანთავისუფლებთ მას იმ სასჯელისაგან, რომელიც სასამართლოს ძალით. მოელის. აგრეთვე ჩვენი მხრით დიდ წინააღმდეგობას ნახავთ ამ შემთხვევაში, თუნდ ეს წინააღმდეგობა სიცოცხლედაც დაგვიჯდესო". ჯარისკაცები მშვიდობიანად დაიშალნენ.

**პეტროგრადი.** 2 მარტი. გარეშე საქმეთა მინისტრმა პ. მილიუკოვმა დღეს გაზეთ „ტანის", რეიტერის სააგენტოს და ამერიკის წარმომადგენელნი მიიღო და შემდეგი განაცხადა: ჩვენი მიზანია რუსეთში ისეთი მთავრობა შევქმნათ, რომელიც მტერზე საბოლოო გამარჯვებას მოგვანიჭებს. მთავრობის უდიდესი დანაშაულობ ისაა, რომ მან შექმნა საშინელი დეზორგანიზაცია და უბედურება დაატეხა ხალხს თავსა. ასეთი მდგომარეობა ომის წარმოებაზედაც კი მოქმედებდა. ხალხის უკმაყოფილობის შედეგია ის ამბები, ახლა რომ მოხდა. ხალხის შეძრწუნება ისეთი ძლიერი იყო, რომ რუსეთის რევოლიუცია ყველაზე მშვიდობიანად და უსისხლოდ მოხდა. ძველი მთივრობა მარტოდ დარჩა. ახლანდელი ამბები ხალხს აღაფრთოვანებს და ომს მოაგებინებს. უკანასკნელ დროს ხალხის ყურადღება მიქცეული იყო სათათბიროსაკენ. ახალ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ხელმწიფე იმპერატორმა ოფიციალურად აიღოს ხელი ტახტზე. რეგენტობა დროებით მიენდო დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს. ასეთია გადაწყვეტილება და მისი შეცვლა შეუძლებელია. უკანასკნელ ცნობების მიხედვით მეფე ფსკოვში იმყოფება. ტყუილია ხმები, ვითომ იგი დაგვეპატიმრებინოს. იმპერატრიცა ცარსკოე სელოშია და არავინ არაფერს დაუშავებს.

## ახალი სამინისტრო

**პეტროგრადი** 2 მარტი. სახ. სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაცხადა ახალი მთავრობის შემადგენლობა: თ-დი **გ. ლვოვი**—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა, პირველ სათათბიროს დეპუტატი და სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის თავმჯდომარე.

პეტროგრადის დეპუტატი პ. **მილიუკოვი**—გარეშე საქმეთა მინისტრია.

სარატ. გუბერნიის დეპუტატი **კერენსკი** იუსტიციის მინისტრი.

სათათბ. თავმჯდომარის ამხანაგი **ნეკრასოვი** გზათა მინისტრია.

**კონოვალოვი** ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრია, კოსტრომის გუბერნიის დეპუტატია.

**პროფ. მანუილოვი** განათლების მინისტრი, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორად ნამყოფი. ნადეპუტატარი.

**გუჩკოვი** სამხედრო მინისტრი და დროებით საზღვაოც.

**შინგარიოვი** მიწათმოქმედების მინისტრი, პეტროგრადის დეპუტატი.

**ტერეშჩენკო** ფინანსთა მინისტრი.

**გოდნევი** სახელმწიფოს კანტროლიორი, ყაზანის გუბ. დეპუტატი.

**ლვოვი ვ. ნ.** სინოდის ობერ-პროკურორი, სამარის გუბერნიის დეპუტატი.

მთავრობის ეს შემადგენლობა საბოლოოდ დამტკიცდა მუშათა დეპუტატების საბჭოსთან მოლაპარაკების შემდეგ.

## მოსკოვის ამბები

**მოსკოვი.** 1 მარტი. დილიდანვე ქალაქში არაჩვეულებრივი სიცოცხლეა. მოედნები ხალხით გაჭედილია. იმართება მიტინგები. დროებით მთავრობას ჯარიც მიემხრო და წითელი დროშით ქალაქის საბჭოსაკენ გაემართა „ურას" ძახილით.

გაიმართა მუშათა დეპუტატების სხდომა ქალაქის საბჭოში. ახალი მთავრობის კომიტეტს იცავს ხუთი პოლ-

## ქართველობა და უცხოეთის გენია

შეიძინე რაც წინაპართ
უ ნდერძიათ!..

გიოთე.

„ქართული ალფაბეტი", მითხრა ერთმა უცხოელმა, ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა — „ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია.

მარტო ესთეთიური თვალსაზრისით რო ავიღოთ, ვერც გოთიური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტა ასოებს.

ქართველები ალბად, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ რასსათა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი".

რაც ზემოთ ნახსენებ მეცნიერმა კერძო საუბარში მითხრა ჩვენს ალფაბეტზე, იგივე შეიძლება ზოგადად ჩვენს კულტურაზედაც ითქვას.

ქართულ კულტურის სახეც ჩვენთვის ჯერაც ამოცანაა.

კარგი მანძილი გაგვივლია.

დღევანდელმა ქართველმა რომ უკან მიიხედოს, ვგონებ თვალსაც ვერ მიაწვდენს ჩვენი ისტორიული ცხოვრების პირველ საფეხურებს. ერთის თვალის გადავლებით ვერც კი გაარჩევს წარსულის ნისლში ჩვენი ისტორიული ცხოვრების კონტურებს.

ცხადია, დიდი ერის ნატეხი ვართ. თუმცა წარსულშიაც არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთი ბაზისი ახალ იდეათა და მიმდინარეობათა, როგორიც ძველი ინდოეთი, სპარსეთი—ახალი საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი.

არ ვყოფილვართ ახალ იდეათა ჯვაროსანნი—, არც თუ რეფორმატორული მისსია დაუკისრებია ჩვენთვის ისტორიას.

ჩვენი ეროვნული ცხოვრების დუღილი ჩვენივ ქვეყნის ზღუდეთ არ გასცილებია...

თუ კერძო ადამიანის უდიდესი იდეალია სოკრატესსებური თვითშეცნობა, მით უმეტეს მთელ ერს, ამ გაცილებით უფრო ღრმასა და რთულ ფსიხოლოგიურ ერთეულს—მართებს თავისი მძლითი ძალის სიგრძე-სიგანის შეგნება, თავის შემოქმედების ფარგლების ცნობა.

იტყვიან: ამის მიზეზი ქართული ეროვნული ოჯახის, ქართველთა ნათესავის სიმცირეაო.

მართალია, ერთ სისხლის თანამოზიარეთა სიმრავლეს დიდი წილი უძევს ერის კულტურულ ცივილიზაციურ მუშაობის განაყოფიერებაში, მაგრამ აქ უბრალო პროპორციის კანონების მობოდიშებით ვერას დავამტკიცებთ; გარნა ძველი ელლადა ყველა, თავის მეზობელ ერზე უფრო მცირე რიცხოვანი არ იყო?

მაგრამ ილიონის ბჭეებთან აქაველების გამჭრიახობამ ტროელთა მრავალ რიცხვიანობასა სძლია.

რელიგია უმიროსის, მოსეს, ქრისტესი მცირე რიცხოვან ერებმა არ წარმოშვეს?

მრავალ რიცხოვანი და პოლიტიკურად ძლიერი იყო რომაელთა საკეისრო. მისი გზატკეცილები დღევანდელ რუმინიამდე უწევდა, მაგრამ უძლიერესს და თავის დროზე ყველა ერებზე მრავალრიცხოვან ერის უდიდესი მგოსანი ვირგილიუსი მხოლოდ საცოდავი ეპიგონი იყო, შედარებით სუსტისა და მცირე რიცხოვან ელლენთა ბრმა ნათელმხილველის (ვგულისხმობ უმიროსს). აგრეთვე კულტურის სხვა დარგებში. ხუროთ-მოძღვრებაში, სათეატრო-სასცენო ხელოვნებაში, მწერლობასა და ფილოსოფიაში რომაელები უბადრუკი მიმბაძველები და პლაგიატორები იყვნენ.

ისტორიის იდეალიზაცია ისტორიის ფალსიფიკაციას უდრის. ძნელია ქართულ სპეციფიურ ფსიხიკაზე დაბეჯითებით, კატეგორიულად რისიმე თქმა.

ჩვენ კულტურულ ზრდას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიული გზა, ნათელსა და სწორ გზატკეცილს როდი ჰგავს,—იგი უფრო ულრან ტყეებში და კლდე-ღრეებში მავალ შარას მოგაგონებთ, უფსკრულებით რო გაწყვეტილია აქა იქ.

სხვა, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში თაობა თაობას მისდევდა, თაობა-თაობას გადასძახებდა ხოლმე თავისს ანდერძს, თაობა-თაობის მხრებზე იდგამდა ფეხს; ერთ საუკუნეში დაწყებულ სოციალურს, პოლიტიკურს, რელიგიურს და არტისტიულ ზრახვათ მეორე საუკუნეში გამოუჩნდებოდნენ ხოლმე მემკვიდრენი. ერთი თაობის, ერთი გენერაციის მიერ ჩაყრილ დუღაბსა და კირს მახლობელი გენერაცია აწყობდა აგურს. ამ მხრით ძველი საბერძნეთის, საფრანგეთის ისტორიული ცხოვრება სათეატრო დრამასა ჰგავს—მოქმედებამოქმედებას რომ მისდევს თან და თანობით და ერთი მეორის შევსებით, გაძლიერებით, სადაც ფინალი დრამისა ლოღიკური დასკვნაა—ყველა აქტების.

ჩვენი ისტორიული ყოფა კი კინემატოგრაფის სიანსებს მოგაგონებთ, თვალის დახამხამებაზე რომ სწყდება ერთი სურათი და მას სულ სხვა შინაარსი მოსდევს. აბა რა აქვს საერთო 12-სა და 14 საუკუნის ან 12-სა და 17—18 საუკუნის ქართველების კულტურულ ყოფას? ვარდ-ბულბულიანსა და ვეფხის ტყაოსანს, ქ ცვია მწყემსს და ჩახრუხაძის ოდებს? იშვიათად თუ არსებულა სხვა რომელიმე კულტურულ ერის ისტორიაში ასეთი უფსკრული ორ დიად ისტორიულ ეპოქათა შორის, როგორც იყო მე-12 და მე-17 საუკუნე ჩვენს წარსულში. ხუროთმოძღვრებას, კაზმულ ხელოვნებასა და საეკლესიო მხატვრობას რომ თავი ვანებოთ, თვით ქართული ენის განვითარებაშიც საშინელ რეგრესს ვხედავთ.

თუნდ გრიგოლ ხანძთელის დროის ენა, მკვეთრი და მოქნილ მე17 და 18 საუკუნეში ბრგვნილ, ბარბარიზმებით და უმგვანო ნეოლოგიზმებით აჭრელებულ ლიტერატურულ ჟარგონად ქცეულა.

აიღეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"—შეადარეთ გინდ დავითიანს, გინდ ანტონ კათალიკოსის, ან საბასულხან-ორბელიანის, ან თეიმურაზ პირველის ნაწერებს. თითქოს ამ საუკუნის ქართველობისთვის არც ჩახრუხაძე და არც რუსთველი, არც შავთელი არ ყოფილიყვნენ. თითქოს მათ ხსენებულ მწერლობაზე ადრე ეცხოვრათ.

* *
*

ჩვენი ტერიტორია „ხალხთა ხიდი" იყო. ჩვენი ისტორიული მისსია: ორ შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება—შეგუება, ორ დიდ სამყაროის ევროპის და აზიის სულის, ესპრის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდ სამყაროსგან გადმოსროლილ ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა.

ვეფხის-ტყაოსანი ერთად-ერთი ქმნილებაა, რომელშიაც ქართული სული სავსებით განსახიერდა—აქილევის ფარი, რომელზედაც მთელი მისი თანამედროვე კულტურის სახე მინიატურულადაა ღეფესტოს ოსტატურ ხელით გადმოცემული; ეს დიადი სარკეც ქართული კულტურის ისეთივე სინთეზია ზემოთ ნახსენებ სამყაროთა, როგორიც გიოთეს ფაუსტი ელლინიზმისა და ქრისტიანიზმის.—ვეფხის ტყაოსანში იპოვით როგორც წმინდა უპანიშიდების, ვედანტა ფილოსოფიისა, საკუნტალას, მაჰაბარათას, სპარსული პოეზიის, ისე ნეო პლატონიკების, უმიროსის დ ღვთაებრივ პლატოს სუნთქვას. გარნა მარტო ვეფხის ტყაოსანი, ყველაფერი რასაც ქართული კულტურა ეწოდება არითმეტიკული საშვალოს წარმოადგენს ელლენურ-ბიზანტიურსა და სპარსულ აღმოსავლეთურ ექსტრემებს შორის. ვიდრე მუსულმანური სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია დაიმხობოდენ, ჩვენ უსაშველოდ ვლეწულობდით ამ კულტურულ გოლდშტრომებს.

როცა სამხრეთითა და დასავლეთით ბჭეები დაგვეხშო და მხოლოდ დარიალით მომქროლაჲ სუსხს შევაჩერდით, ჩვენი სულიერი კულტურაც თვალსაჩინოთ ჩამოქვეითდა.

როგორც ზევით ვთქვით ჩვენ ქართველებს ნოვატორების სახელებს ვერავინ მოგვაკუთვნებს, მაგრამ ადამიანობის, კაცობრიობის ისტორია მითაა საინტერესო, რომ ერთა ოჯახში სხვა და სხვა ნიჭის ერები შედიან. წარმოიდგინეთ ქარხანა, სადაც მრავალ სხვა და სხვა უნარის ოსტატებს თავი მოუყრიათ; ერთს საქმის დაწყება აბარია—მეორე, მესაშვალის როლს ასრულებს. ერთი ინიციატორია,—მეორე კონბინატორი. ერთი ანალიზს აკეთებს, მეორე სინთეზს. ჩვენი ისტორიული როლი შემაერთებლისას ჰგავს; სპარსულ, მცირე აზიურ კულტურას ელლინურ ბიზანტიურთან ვაკავშირებდით—და ჩვენ ეროვნულს, სპეციფიურ ქართულ სახესა და ხატს ვაძლევდით ხოლმე.

ორ ძუძუსა ვსწოვდით, ჩვენი სამშობლო, ორ კულტურულ ნაკადის შემრთთველ აუზს წარმოადგენდა.

რელიგია და მისი გაგება ერთგვარი გამოცდაა კულტურულ ერისა.

ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო. ყოველ მაღალ ხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონია საძირკველი.

თუმცა ქრისტიანური რელიგია, ჩვენთვის სრულიად არა ნათესავ და **უცხო რასის** შექმნილი იყო, მაგრამ ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურობა და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. არც ერთ ერს ქრისტიანიზმი ისე არ გაუგია, როგორც ჩვენ; ჩვენთვის ქრისტიანიზმი პოეზია იყო. წაიკითხეთ ბატონ ინგოროყვას გამოცემული: „ქართული საეკლესიო პოეზია". რომელი იოჰანესს ლიუტერის, ან ფრანცისკო ასისსელლის საგალობელნი შეედაროს მას.

თამამად შეიძლება ითქვას: **არც ერთ ევროპიელ ქრისტიან ერს არ უცდია და არც შესძლებია, ჩვენებრ— რელიგიის გაშუქება პოეზიის ობტიკით.**

არც ესპანიური ფანატიზმი, არც რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოღმატიზმი ჩვენ სარწმუნოებრივ სექტებს არა ჰხლებია. ჩვენ არ გვახსოვს არც ბათლომეს ღამის საშინელებანი, არც ჰუგენოტები, არც აუტო დაფე.

ჩვენი ბერები—მონასტრის კედლებშიც ერის კაცებად რჩებოდენ, ერისათვის, „სოფლისათვის" ზრუნავდნენ მოიგონეთ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი, კლარჯეთის მაშენებელი.

თვით უდიდესმა რელიგიურმა რეფორმატორმა ლიუტერმა ვერ შესძლო გალილეაში შობილ უდაბნოს რელიგიის ვარდ-ყვავილებით შემოსვა—ქართველობა კი ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ იმავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდა.

ქრისტიანიზმი—ეს ცხუნვარე აზრის უდაბნოდან წამოქროლილი ქარი, მთელ ინდო-გერმანელ ერების კულტურას განადგურებას უქადდა—არსებითად კოსმოპოლიტურ პრინციპებზე დაფუძნებული სარწმუნოება სემიტულ ნათესავისა, მოსისხლე მტერი ყოველგვარ თავისებურობის, კუკურშივე აჭკნობდა ყოველ ჭეშმარიტ ნაციონალურ კულტურის ყლორტებს. ერთა ქაოსის ეპოქაში—კათოლიციზმმა დიდი რომის საკეისრო შეიწირა. როგორც რომაელთა ისე გერმანელ ტომის ხალხებს დიდი და თავგამოდებითი ბრძოლა დასჭირდათ ვიდრე ამ სარწმუნოებას ნაციონალურ დარჯაკში გაატარებდნენ და თავისებურ სახეს მისცემდენ.

ჩვენ ეროვნულ სხეულში კი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა ელლენური კავშირი.

ჩვენში დიონისე, დიონისეს იკვდილის შე დღგაც ცოცხლობდა.

ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისესა და ქრისტეს—ნაზარეველსა და ზარატუშტრას შორის დადგომამ იხსნა. ეს გასაოცარი დუალიზმი ჩვენი სულისა და ჩვენი ბუნებისა, ჟებარ მალამოდ ეწამლა ჩვენსავ ეროვნულ არსებობას.

**კოწია აბაშისპირელი.**

(დასასრული იქნება)

...ველი საარტილერიო ბრიგადა, ...ბი და რამდენიმე ათასი შეიარაღებული მილიციონერი. კომიტეტ...რთა გარნიზონს მოწოდებით. ...ლ მთავრობის მომხრე ჯარს და ...ებს საერთო კრება ჰქონდათ. ...ს სამხედრო კომიტეტი შიმში...ა ექცესების თავიდან ასაცი...დ. ჯარის უფროსად აირჩიეს ...ენიკი გრუზინოვი, კომისარად ...კოვი. კომიტეტში შედის 150 ...ნიზაციის წარმომადგენელი. გრუ...მა განაცხადა: კრემლი დავიჭი...ტელეგრაფი, ტელეფონი და არ...ი დავიკავეთო.

...ასრულებელმა კომიტეტმა დაა...რა გენერალი მოროზოვსკი. ბუ...იდან პოლიტიკური დამნაშავენი ...თავისუფლეს.

...ვის ქალაქის საბჭოში მოგროვ...თას დაპატიმრებულ ჟანდარმა...

## ...ასრ. კომიტეტის მიმართვა.

...ტროგრადი. სახელმწიფო სათა...ოს აღმასრულებელმა კომიტე...ქალაქებს და ერობებს დაუგზავნა ...ულიარული განკარგულება, რათა ...ა შეეცადოს სამშობლოს ხსნას ...ვებულ მდგომარეობიდან და ...თ სანოვაგის საქმე მოვაგვა...ო.

...ტროგრადი. 1 მარტი. სახელ...ო სათათბიროს აღმასრულებელი ...ის კომისარი სურსათის მდგო...ბის შესახებ შემდეგს გადმო...ს: რკინის გზებით სურსათის ...ნლობა სატახტო ქალაქებთან ...ა ცენტრებთან გამოწვეული იყო ...სად ავი დარით და მოსამსახუ...დაქანცვით. უშველებელი თოვ...ამქერები აჩერებდნენ არა თუ ...ლის მატარებელთ არამედ სამ...ოებსაც. ამის მიუხედავად საქონ...მაინც იტვირთებოდა. სამშობ...საბედნიეროდ ბოლო დროს ...შეიცვალა. რუსეთის სამხრეთ ...ში ლღომა დაიწყო შიდა-რუსეთ...ნარი ამინდია. მოძრაობა მოწ...ად ჩაითვლება. პირველ ყოვლი...ავნებიან სასურსათო საქონელი ...ვის და ხალხისთვის და საწვა...ლა. უმთავრეს გზებზე ეხლა ...6 მილიონზე მეტი ფუთი სურ... უკანასკნელ დღეებში ყოველ ...რტო პური 2 მილიონზე მეტი ...ოება; აქედან ნახევარი ფქვი...ეტროგრადში თანდათან მეტი ...ი შემოდის. 26 თებერვალს ... პური 120.000 ფ. შემოვიდა ...ში გადმოტვირთვა უფრო გან...ება. აღმასრულებელი კომისიის ...ის მიერ მიღებულია სასწრაფო ... მოძრაობის დასაჩქარებლად.

...ოგრადის ტელეგრამის სააგე...დაპყრობა. 1 მარტს სახ. სა...ოს აღმასრულებელ კომიტე...მისარებმა გრონსკიმ და სალა...პეტროგრადის ჟურნალისტების ...ადგენელთან ერთად სააგენტო ...ჩაიგდეს.

...ვეტილი ლხინი. დონის როს...ქალაქის უფროსმა საფრანგე...ელეგაციას ვახშამი გაუწყო. ...ის აღება ახარებდა მომლხენთ. ...იიღეს პეტროგრადის ამბები ...სწრენი შესწუხდნენ, სიხარული ...ებაზე შეიცვალა და ლხინიც ...ტეს.

... მთავრობის კანონიერობა ... 1 მარტს საფრანგეთის და ინ... ელჩებმა.

...ხლის დაცვა. განთიადისას ...ს ცარსკოე სელოს სასახლის ...ანტმა სთხოვა სახ. სათათბი...ღმასრულებელ კომიტეტს—წე...ა დაიცავით სასახლეშიო. აღმ. ...ტის განკარგულებით ცარსკოე ... გაიგზავნა დეპუტატები დე... და სტეპანოვი. სასახლის და...ბს ებრძანა წესიერების დაცვა.

...დიელთა რაზმი. 2 მარტს ... თავრიდის სასახლესთან მივი...არდიელთა რაზმი, რომელიც ...მოდ იყო დაბარებული ფრონ... 27 თებერვალს. როგორც კი ...გვარდიელებმა საქმის მდგომა... გადასწყვიტეს სახალხო ჯარ...შეკავშირება. ჯარისკაცებთან ...მდენიმე ოფიცერიც. უმეტესი ... ოფიცერთა დაიმალა. სახალ...ს შეუერთდა აგრეთვე პავლო...ელობის და სამხედრო-სატოპო... სკოლათა იუნკრები. ჯარს ...ა როძიანკო. აღმასრულებელ ...ტის ცნობა პეტროგრადის ჯა...ელა ნაწილი მიემხრო ახალ ...ბას.

...ალი ივანოვი და ყალბი ...ობდნენ, რომ გენერალი ივა...ელ მთავრობის დასაცავად თა...ვის ჯარით პეტროგრადს მიდისო. ცნობა ყალბი გამოდგა. ივანოვი პეტროგრადშია, მოვიდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვებულ ჯართან ერთად და მიემხრო ახალ მთავრობას.

**სიკვდილით დასჯა მოღალატეთ.** 2 მარტი. პეტროგრადის დამცველი აცხადებს, რომ დახვრეტილ იქნება ის ოფიცერი, რომელიც შეეცდება ხალხის ჯარს იარაღის აყრას.

**იარაღის დაცვა.** აღმ. კომიტეტმა უბრძანა ვლადიმერის, პავლოვის და სატოპოგრაფიო სამხედრო სასწავლებლებს, რომ იარაღი არავის მისცენ, ვინც იარაღს მოსთხოვს—დააპატიმრონ.

**სახალხო კომიტეტების შედგენა.** 2 მარტი. ცარიცინში არაჩვეულებრივი მოძრაობაა. შესდგა ქალაქის თავდაცვის კომიტეტი.

**სალამი ახალ მთავრობას.** აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სალამი ჩერეპოვიცში შემდგარ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისაგან, აგრედვე ჩრდილოეთის რკინის გზათა სახელოსნოსა და ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან, ეკატერინოსლავის თვითმართველობისაგან, მოსკოვის ტელეგრაფის მუშაკთაგან, პენზის გაზეთ „ჩერნოზიომისაგან“ და ნიკოლოზის სახელობის რკინის გზის 500 კონდუქტორებისაგან.]

**მდგომარეობა მოსკოვში.** 1 მარტი. შაბათს და კვირას პეტროგრადიდან იუწყებოდნენ, რომ პეტროგრადში მოძრაობა და სისხლის ღვრაა, ორშაბათს ტელეფონმა ცნობა მოიტანა, რომ შესდგა ახალი მთავრობ. ორშაბათს, 7 საათზე ტელეფონით ლაპარაკი შეუძლებელი გახდა. საღამოს მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის სხდომა გაიმართა. დაესწრო საზოგადო დაწესებულების და წარმომადგენელნი. აზრად ქონდათ მოსკოვისათვის თავდაცვის და აღმასრულებელ კომიტეტის შედგენა. სამშაბათს გაიფიცნენ ქარხნები და ტრამვაი. 11 საათისათვის პოლიციის დაბალ მოსამსახურეთ აქა-იქ იარაღი აჰყარეს. შუადღისას მოხსნეს პოლიციის ყველა საყარაულო. ხალხი და ჯარი ერთად იყვნენ და საუბრობდნენ. ქალაქის თვითმართველობის წინ, ვოსკრენსკის მოედანზე გაიმართა მიტინგი, საჯარო კრება, რომელიც დიდხანს გაგრძელდა ამავე დროს შესდგა მოსკოვის დროებითი კომიტეტი. პეტროგრადიდან მიიღეს ცნობა, რომ შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო. ამ დროსვე ქალაქის თვითმართველობას მოაწყდა მოსკოვის ჯარის ნაწილები. წესიერებას იცავდნენ მუშები და მოწაფენი, საღამოს 9 საათზე კი ჯარისკაცები. წესიერება არ დაურღვევიათ. სამშაბათს 12 საათზე მიიღეს როძიანკოსა და პუბლიკოვის დეპეშა წესიერების დასაცავად. რკინის-გზის მოძრაობა წესიერად სწარმოებდა. გაზეთები არ გამოსულან სამშაბათს. მთავრობა ვერ მოქმედებდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები წესიერად მუშაობენ. უკანასკნელ ცნობების მიხედვით მთავრობა რევოლიუციონურ ხალხისა და ჯარის ხელშია. შესდგა საზოგადოებრივ შველის კომიტეტი. ასეთივე ამბავი ხდება ხარკოვში.

**მოსკოვის თვითმართველობის გადაწყვეტილება.** 28 თებერვალს შეუდგენიათ შემდეგი ოქმი: მესამე წელია სამშობლო აურაცხელ მსხვერპლს სწირავს. ომის უკანასკნელი ხანაა მაგრამ ქვეყნის ცხოვრებას ღუპავს ძველ წეს-წყობილების ჯიუტობა. გამარჯვებისა და რუსეთის დაღუპვისაგან გადარჩენისათვის სახ. სათათბირომ გადაწყვიტა დამხობა დამღუპველ ძველ წყობილების. მოსკოვის ქალაქის თვითმართველობა აღშფოთებულია, რომ ასეთ დროს ძველი მთავრობა შეეცადა სახ. სათათბიროს მუშაობის შეწყვეტას, ესალმება ახალ მთავრობას და დარწმუნებულია, რომ ხალხის წარმომადგენლები სახელოვან ჯართან ერთად საბოლოოდ ჩამოაშორებენ მთავრობას იმათ, ვინც ღალატის სამარცხვინო საქმეს ემსახურება. მოსკოვის მოქალაქენო! დაიცავით წესიერება და სახ. სათათბიროსთან ხელიხელ ჩაკიდებული ემსახურეთ გამარჯვების საქმეს.

## ტფილისის ქალაქის საბჭო

2 მარტს, საღამოს 8 საათზე ტფილისის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება გაიმართა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

**ქალაქის მოურავმა** კრებას აუწყა, რომ ამ დღეებში პეტროგრადში ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა, რომელმაც გამოიწვია ჯარების ჩარევა.

ოფიციალური ცნობა ამ ამბების შესახებ ქალაქის მოურავს მიუღია მხოლოდ 2 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე. სახელდობრ ასეთი დეპეშა მოსვლია ბ-ნს ხატისოვს:

„ტფილისის ქალაქის მოურავს. სახელმწიფო სათათბიროს წევრთაგან შემდგარ დროებით მთავრობისაგან. დროებითი კომიტეტი სახელმწიფო სათათბიროს ამ საერთო შინაურ მოუწყობლობის დროს, რაიც გამოიწვია ძველის მთავრობისაგან მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა, იძულებული გახდა თავს ედვა აღდგენა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესიერებისა. კომიტეტი გრძნობს თავის დიდს პასუხის მგებლობასა და იმედს გამოსთქვამს, რომ მცხოვრებნი მას ხელს შეუწყობენ ახალ მთავრობის შექმნაში, რომელიც გამომხატველი იქნება ხალხის სურვილისა და ექნება მისი ნდობა. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო“.

ამ დეპეშის მიღების შემდეგ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი სასახლეში მიუწვევია მეფის მოადგილეს, რომელთანაც ამ დროს ყოფილან: მეფის მოადგილის თანაშემწენი გენერალი იანუშკევიჩი და თ-დი ორლოვი, მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი ისტომინი და ტფ. გუბერნატორი ისტომინი.

მის უმაღლესობას ბ-ნ ხატისოვისთვის შემდეგი უთქვამს:

„მე მოგმართავთ თქვენ, როგორც მცხოვრებთა წარმომადგენელს და მრწამს, რომ ნამდვილი რუსის პატრიოტი ხართ. მე ვლაპარაკობ თქვენთან როგორც კავკასიის ჯარის მთავარსარდალი. ჩვენ განვიცდით ფრიად მნიშვნელოვანს ისტორიულ მომენტს იმ დროს, როდესაც ღვთის შეწევნით ჩვენი ჯარები მხნედ განაგრძობს წინსვლას და აკეთებენ ჩვენთვისა და ჩვენი მოკავშირე ინგლისელთათვის ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. შემდეგის გამარჯვებისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მშვიდობიანობა ჩვენს მხარეში. გთხოვთ ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ ამ მშვიდობიანობის დაცვას მრწამს, რომ ტფილისის მცხოვრებნი ამას შეიგნებენ და შეასრულებენ თქვენის საშუალებით მათდამი მიმართულ მოწოდებას. ყველა ჩვენთაგანისათვის ძვირფასია სამშობლო ჩვენი. მე მესმის, რომ ტფილისის მცხოვრებთ ღრმად სურთ იმ პირობათა დამყარება, რომელიც უზრუნველყოფს მტერზე გამარჯვებას. მრწამს. რომ ეს პირობები შექმნილ იქმნება. თუ ხალხს ჩემი ნდობა აქვს, ეს სიტყვები თქვენ ბევრს რამეს გეტყვით. შეგ ძლიანთ ეს მცხოვრებთ გადასცეთ. ამ პირობათა შესაქმნელად საჭიროა მშვიდობიანობა მთელს კავკასიაში: ასეთია მომენტის მოთხოვნილება“.

ამის შემდეგ ა. ი. ხატისოვი კითხულობს სხვა და სხვა დეპეშებს, რომელიც მოსვლია პეტროგრადიდან. ერთს დეპეშაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ძველი მთავრობა აღარ არსებობს და შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი დაპატიმრებული არისო.

დასასრულ ქალაქის მოურავი წინადადებას აძლევს საბჭოს ნდობა გამოუცხადოს ახალ მთავრობას და მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს.

ამის შემდეგ ხმოსნებმა ილაპარაკეს.

**ხმოსანი ვესელოვზოვი.** რასაკვირველია, ახალ მთავრობას ნდობა უნდა გამოუცხადოთ. მე მინდა ყურადღება მივაქციო სხვა მხარეს. ახალ წესს უჭველია მოწინ აღმდეგენი გამოუჩნდებიან. პროტოპოპოვის პარტია უეჭველია უკანასკნელ ძალას მოიკრებს და რევანშს მოითხოვს. ამიტომ ყველგან სიფრთხილეა საჭირო. ეს სიფრთხილე ჩვენც გვმართებს. ყოველი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ ქალაქში არავითარი მანიფესტაცია არ გაიმართოს; არც ფეროვან ბაიარაღებისა და არც წითელ ფეროვანებისა. საჭიროა მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა იმ დროსაც, თუ დროებით სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა ჩამოვარდება.

**ხმოსანი არუთინოვი** სომეხთა დემოკრატიულ ჯგუფის სახელით ლაპარაკობს და მოითხოვს: 3 ივლისის კანონის გაუქმებას, პოლიტიკურ თავისუფლებათა აღდგენას და ეროვნებათა უფლებრივად გათანასწორებას.

**ხმოსანი შალვა ალექსი-მესხიშვილი** აღნიშნავს, რომ ამ ჟამად რუსეთის საზოგადოებრივს ცხოვრებაში იშვიათი და დიდი დღესასწაულია, რადგანაც შეიცვალა ძველი მთავრობა და იცვლება ძველი რეჟიმიც. შემდეგ ეხება ნაციონალურს საკითხს და მოითხოვს, რომ პატარა ერთა უფლებანი აღიარებულ იქმნენ. იგი ამბობს: რასაკვირველია ამ საერთო ქარტეხილის დროს ვიდრე ჯერ არ გამაგრებულა ახალი მთავრობა შეუძლებელია ეროვნულ საკითხის გადაჭრა, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ ამის შესახებ თავის დროზე ვილაპარაკოთო. ხმოსანი მოითხოვს საერთო პოლიტიკურ ამინისტიას და დასძენს: ხალხი აუცილებლად უნდა დამშვიდდეს იმ დრომდე, სანამ საბოლოოდ არ დავამკვიდრებთ დღეს მოპოვებულ უფლებებსაო.

**ხმოსანი ალ. ლომთათიძე** სოითხოვს: პოლიტიკურს ამნისტიას, მთელის ადმინისტრაციის გადაყენება და ფრონტებზე გაგზავნას, მუშათა ორგანიზაციების თავისუფლებას, პოლიციის დამორჩილებას ქალაქის თვითმმართველობისათვის და სასურსათო საქმის გადასვლას დროებით მთავრობისა და მუშათა საბჭოს ხელში. რაც შეეხება ნაციონალურს კითხვას, ამაზე ხმოსანი ამბობს: ყველა ერს უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად განვითარდეს კულტურულად, სულიერად და სხვა მხრით, მაგრამ ამ მწვავე საკითხის გარდა ამ ჟამად არიან უფრო მწვავე და სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხებიო.

**ხმოსანი ნოე რამიშვილი** ვრცლად ლაპარაკობს და სხვათა შორის ამბობს: მეფის მოადგილე მშვიდობიანობას თხოულობს. ჩვენც ეს გვინდა, რადგანაც არ გვსურს მსხვერპლის მიტანა, მაგრამ სად არის გარანტია, იმისა, რომ მშვიდობიანობის დარღვევა საჭირო არ არის? ისტორიული ფაქტები, თუ გინდ 1905 წლისა სხვას გვეუბნებიან. ხმოსანი თხოულობს, პოლიცია მუნიციპალიტეტს დაუქვემდებარდეს, პრესას მეტი თავისუფლება მიეცეს და განხორციელებულ იქმნას მინიიუმი მაინც მოქალაქობრ უფლებებისა.

**ხმოსანი ი. დოლუხანოვი** საჭიროდ სცნობს, მცხოვრებმა შვიდობიანობა დაიცვან და ნდობა გამოეცხადოს ახალ მთავრობას, რომლის შემადგენლობაშიც ჩხეიძე და კერენსკი არიან.

დასასრულ საბჭო ადგენს; ნდობისა და მილოცვის დეპეშა გაეგზავნოს ახალს მთავრობას და ტფილისის მცხოვრებთ მოწოდებით მიმართოს და მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა სთხოვოს.



ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲠᲝᲫᲘᲐᲜᲙᲝ.

# ომის გარშემო

## ომის დღიური

თანამედროვე ომმა აშკარად დაამტკიცა რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო მოქმედებისათვის ჯარის ზურგის სათანადო მოწყობას და მოწესრიგებას. გერმანიის დიდს უპირატესობას სწორედ ზურგის მიზანშეწონილი და წესიერი მოწყობა მუდამ შეადგენდა და შეადგენს. ზურგის სიმაგრე, გარდა იმისა, რომ მომქმედ ჯარს ტეხნიკურად და მატერიალურად უზრუნველჰყოფს, უფრო მეტად სულიერ და მორალურ ფაქტორებს ჯარისას აძლიერებს. მთელი უბედურობა და მარცხი, რომელიც რუსის ჯარმა ამ ომის განმავლობაში იწვნია, სამი მეოთხედით უნდა მიეწეროს ზურგის მოუწყობლობას და იშვიათ დეზორგანიზაციას და ანარქიას, რომელიც ძველმა რეჟიმმა უგუნურობით და იქნებ განზრახ შექმნა. ტრანსპორტის არევ-დარევა, სურსათ-საკვების საქმის აწეწა და ერთობ ძველი რეჟიმის დამყაყებული და შმორიანი სუნი, რა თქმა უნდა, მომქმედ ჯარს თავისუფალ სუნთქვას უხუთავდა და სტრატეგიას ხელს უბორკავდა. ძველი, აწ სამარცხვინოთ დამარცხებული და გაძევებული მთავრობა ცხადი გამოსახულება იყო სულიერ და ქონებრივ გაკოტრებისა და ეს გარემოება, თავის თავად ჯარსაც საბოლოო დამარცხებას უქადიდა და მთელს სახელმწიფოს უფსკრულისაკენ მიაქანებდა. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა და ძველი რეჟიმი ბუნებრივად ან სეპარატიულ ზავს წაეპოტინებოდა, ან და თავისთან ერთად მთელ სახელმწიფოსაც დაღუპავდა. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ზომიერი ელემენტებიც კი მოთმინებიდან გამოვიდა და ჯარმაც ხმა აღიმაღლა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: დამპალი, გახრწნილი ლეში ძველი რეჟიმისა დაიშალა. რაც რუსეთის ხალხის საუკეთესო ძალებმა საუკუნოების განმავლობაში, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა და ზღვად დაღვრილი სისხლისა ვერ მოახერხეს, ის გერმანიის მახვილმა და არსებითად მისმა მომხრე ძველმა რეჟიმმა განახორციელეს. რუსეთში მომხდარი ცვლილება პირველ ყოვლისა დიდს გავლენას იქონიებს სამხედრო მოქმედებაზე, თუ „ახალი ძალა“ შესძლებს და დროზე მოახდენს ჯარის ზურგის ორგანიზაციას და სახელმწიფოს და ჯარის გამოკვების საქმეს მალე მოაგვარებს. შესაძლებელია, რომ „ახალი მთავრობის“ გამეფება ომის უფრო გაჭიანურებას გვიქადის, მაგრამ თუ კი მომხდარ ცვლილებას რუსეთის ცხოვრების ძირითადი შეცვლა მოჰყვა, ომით გამოწვეული მსხვერპლი რუსეთისათვის სავსებით ანაზღაურდება და ამ მხრით რუსეთი გამარცვებული დარჩება. იჭვს გარეშეა, რომ მომხდარი ცვლილება ჯარში დიდს აღფრთოვანებას გამოიწვევს, მით უმეტეს რომ ამ ცვლილებაში თვით ჯარი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ეს გარემოება ჯარის მორალურ ფაქტორს მეტად გაძლიერებს და ჩვენ ვიცით რომ საზოგადოდ სტრატეგია დიდს უპირატესობას აკუთვნებს ამ ფაქტორს. გენიოსი სარდლები მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მორალურ ფაქტორს და მის გაძლიერებისათვის ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ამიტომ „ახალმა მთავრობამაც“ თუ კი იგი გულწრფელად მოწადინებულია ომის სათანადოდ დამთავრებისათვის ამ გარემოებას დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს და მხედველობაში უსათუოდ უნდა მიიღოს, რომ რუსეთის ჯარში შედიან გარდა რუსებისა, რუსეთის შემადგენელ ერების საუკეთესო შვილნი, რომელნიც დიდს მსხვერპლსა სწირავენ რუსეთის იმპერიის დაცვას და რომელთათვისაც განსაკუთრებით სასურველი და სასიხარულო რუსეთის განახლება, თუ კი ამ განახლებას თან მოჰყვება ყველა რუსეთში მცხოვრებ ერთა უფლებების აღდგენა და მათი კანონიერი და ზნეობრივი ინტერესების დაკმაყოფილება. ახალმა მთავრობამ უსათუოდ ამ მხარეს ანგარიში უნდა გაუწიოს და ჯარში მორალურ ფაქტორის გაძლიერებისათვის ერთგვარი გარანტია უნდა მისცეს სხვა და სხვა რუსეთში მცხოვრებ ერებს, რომ რუსეთში დაწყებული ახალი ხანა, ახალივე ხანა იქნება დამონებულ ერთათვის. სწორედ ეს შექმნის ჯარში იმ ერთ სულოვნობას, შეიტანს იმ შეგნებას და აღტაცებას, რომელიც საუკეთესო საშუალებაა სრული გამარჯვებისათვის. ახალი მთავრობა პასუხისმგებელი იქნება, თუ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს და ანგარიშს არ გაუწევს.

ი. გე—გა—ლი.

## უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი,** 2 მარტი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის, ავსტრიის და რუმინის ბრძოლის პირი. ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ბრძოლის პირი.** საყიზის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა უკუაქცია ოსმალები კალიხანის გადასავლიდან და განაგრძობს წინსვლას ვანისაკენ.

## კავკასიის ჯარის შტაბისაგან.

**ტფილისი,** 2 მარტი. სპარსეთში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. კალიხანას გადასავალის რაიონში ჩვენმა ჯარმა ალყა შემოარტყა მოპირდაპირეს, ზოგი დახოცა და ზოგიც დაატყვევა. გადასავალი, რომელიც გზას გვიხსნის მესოპოტამიისაკენ, დავიპყარით, მიუხედავად მოპირდაპირის მკაცრი წინააღმდეგობისა და დიდი თოვლისა. ბაღდადის მიმართულებით, ქერმანშაის აღების შემდეგ, ჩვენი ჯარი სდევნის ოსმალებს. ამ მიმართულებით 1 მარტს ჩვენმა ჯარმა დაიპყრა ნალეშქიანის გადასავალი,

ქერმანშაის აღების ამბავი: ოსმალების დიდს ძალებს მაგარი პოზიციები ეკავა მდ. კარა-სუს ნაპირით და ამ მდინარეზე ხიდი აეფეთქებინათ. მიუხედავად ამისა ჩვენი ჯარი მდინარეს გავიდა და იერიში მიიტანა. ქართველთა ახლად შედგენილი, მაგრამ მამაცი პოლკი, ფონს გავიდა და პირველი შეიჭრა ქალაქში აღმოსავლეთის მხრით; იმავე დროს დანარჩენმა რაზმებმა იერიში მიიტანეს სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრით. მოპირდაპირემ მედგარ შეტევას ვერ გაუძლო, უკუქცეულ იქნა ნალეშქიანის გადასავლისაკენ. ქერმანშაიში ხელთ ვიგდეთ იარაღის საწყობი, ტყვიაყუმბარა და სამხედრო მასალა.

# ახალი ამბავი

✦ **კავკასიის მეფის მოადგილე კავკასიის ჯარის მთავარსარდალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რუსეთის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა.**

✦ **ებრაელთა ღარიბ ოჯახთა სასარგებლოდ** აღდგომისთვის ტფილისში ყულაბებით ფულის შეგროვება გაიმართება.

✦ **სასურსათო საკითხის** გადასაწყვეტად ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ამ დღეებში ფართო კრებას იწვევს ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

✦ **ქართველ ტყვეებისთვის** გადასაცემად ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობამ 580 მანეთი გადასდო.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს არტაანის განყოფილებას, შეაგროვოს დაწვრილებითი ცნობები არტაანის ოლქის მაჰმადიან ქართველთა მდგომარეობის შესახებ და მოხსენება წარმოუდგინოს მთავარ გამგეობას.

✦ **თავშესაფარი არტანში.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის კრება 2 მარტს გაიმართა არტაანის განყოფილების თავმჯდომარის თანადასწრებით. გამგეობამ დაადგინა, ახლავე შეუდგეს არტაანში თავშესაფარის მოწყობას. თავშესაფარის გამგედ სასურველად სცნო მოიწვიოს მაჰმადიანი ქართველი ქალი. ამას გარდა საჭირო იქნება ერთი მასწავლებელი.

✦ **ტფ. გუბ. თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდ. აღმას. თავ.**

დ. ე. ჩოლოყაშვილი 3 მარტს მიწვეული იყო ნამესტნიკთან აუდენციაზე, რომელიც გაგრძელდა 20 წუთს. მარშალი უმაღლესად დავალებულ იქმნა შეკრიბოს, განსაკუთრებული პირობების გამო, არაჩვეულებრივი ყრილობა გუბერნიის თავად-აზნაურთა, რათა გადაეცეს მათ დაიცვან მშვიდობიანობა, რომელიც სჭირია ჩვენ ჯარს იმ დიადი მიზნის განსახორციელებლად, რომელიც მას აქვს დაკისრებული.

3 მარტს საღამოს მოხდა კრება სადეპუტატო საკრებულოში თავად-აზნ. წინამძღოლებისა და დეპუტატებისა.

✦ ტფ. ქალაქის საბჭომ 2 მარტს შემდეგი დაადგინა დღევანდელ მომენტის გამო: 1) მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს ახალს მთავრობას პეტროგრადში, 2) მოწოდებით მიმართოს ტფ. მცხოვრებთ, რათა მშვიდობიანობა და წესიერება დაიცვან, 3) მიენდოს მეფის ნაცვალს, რომ მშვიდობიანობის დასამყარებლად საჭიროა: აღეკრძალოს ყველას ქუჩებზე რაიმე მანიფესტაციის გამართვა, ეხლავე გადაყენებულ იქნან ის ადმინისტრატორები, რომელნიც საზოგადოებრივობის წინააღმდეგ მტრობას იჩენენ და განთავისუფლებულ იქმნენ საპყრობილესაგან პოლიტიკური დამნაშავენი, 4) ეცნობოს ახალ მთავრობას შემდეგი სურვილები: განხორციელდეს საყოველთაო ამნისტია, გაუქმდეს 3 ივნისის კანონი და გაფართოვდეს მცხოვრებთა საარჩევნო უფლებანი, ეროვნებანი უფლებრივად გათანასწორებულ იქმნან, მოხდეს პოლიციის მუნიციპალიზაცია. განხორციელდეს თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კავშირებისა და კრებებისა და სასურსათო საქმე გადავიდეს ქალაქთა და ერობათა ხელში, 5) მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს სათათბიროს წევრს, ტფ. წარმომადგენელს ნ. ჩხეიძეს, როგორც ახალ მთავრობის წევრს და 6) ეს დადგენილებანი ეცნობოს კავკასიის ყველა ქალაქს.

## ჩვენი მეზობლები

— „მშაკი" იუწყება: ტფილისში ამ ჟამად არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს კავკასიის შესწავლა. საქმის დამწყებნი არიან: ექ. ა. არწრუნი და პროფ. ვართანოვი პეტროგრადში და სხვ. საზოგადოება ჩვენი მხრის ყოველგვარად შესწავლის საშუალებით შეეცდება სომხის სოფლის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

— ერევანში ამ ცოტა ხანში ყრილობა უნდა მოხდეს სომეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა. მოსკოვიდან და პეტროგრადიდან მოსულია აღმასრულებელ კომიტეტს ცნობა, რომ იქაურ სომეხთა ორგანიზაციებიც მიიღებენ მონაწილეობას განზრახულ ყრილობაში.

— „ჰორიზონის" ცნობით ახალ ბაიაზეთის რაიონში დაბანაკებულია თურთმეტ ათას გამოქცეულზე მეტი. გაზეთი სომეხთა ორგანიზაციებს ურჩევს ამ მხარეს ყურადღება მიაქციონ და გამოქცეულებისათვის სახელოსნოები გახსნან. ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მათთვის თურმე არავითარი ფულით დახმარება აღარ აღმოუჩენიათ.

## სამხედრო ექიმის შენიშვნები

(შემდეგი*)

ოცი ომი. დღეს წერილებს ვათვალიერებდი და გაზეთის ნაგლეჯს გადავაწყდი, სჩანს შემინახავს, აქ ჩამოთვლილია თუ რამდენი ომი იყო გამოცხადებული ერთი წლის განმავლობაში. იუწყება მით რომ ავსტრიამ გამოუცხადა ომი სერბიას 15 ივლისს 1914 წ. და თავდება იტალიის ომის გამოცხადებით 11 მაის 1915 წელი. ვფიქრობ და ანგარიში ვერ მიმიცია თუ რათ გადივიდა ასე ფიცხლავ სერბია-ავსტრიის შუა უთანხმოება. და თუ მცირე წლოვან გიმნაზიელის ერთმა რევოლვერის ტყვიამ ასეთი შედეგამდი მიიყვანა ევროპა. თუ ეს მხოლოთ საბაბი იყო და ყველა დროს უცდიდა ან შეიძლება ზოგიერთ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის შენახვა სურდა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა? ერთი წლის განმავლობაში ოცი ომის გამოცხადება, განა ქრისტიანს არ მოგვგონის ქვეყნად მყოფ ადამიანს? აქამდი მშვიდობიანად მცხოვრებნი მეზობლები ახლა ერთმანეთს უდა ეძგერონ რათ? რისთვის? რაც ამას ვსწერ, მაშინ ბულგარეთსაც ომი გამოცხადებული აქვს, ხოლო რუმინიას და საბერძნეთს კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ თუ ვის დაუამხანაგდენ. სპარსეთიდანაც ამ უკანასკნელ დროს უცნაურ ცნობას გვაწვდიან. ერთი სიტყვით აირია მონასტერი...

7 ნოემბერი. ხუთი წლის წინედ მე 2 კურსის სტუდენტი ვიყავი, რაც ჩვენმა უნივერსიტეტმა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ პირველად ამოიღო ხმა. ტოლსტოის სიკვდილმა სტუდენტობა ადგილიდან დასძრა, წარსული მოაგონა და საბრძოლველად დარაზმა. ახალგაზდობამ მაშინ უშიშრად დაკივლა ძირს ომიო, გაუმარჯოს ძმობა-ერთობასო. არც ციხე, არც უნივერსიტეტი გამორიცხვა მას არ აშინებდა.

მაგრამ... განვლო დრომ და რას ვხედავთ. ახლა ეს სტუდენტობა ურაპატრიოტები და კაცი-ჭამია შეიქნენ, როგორც გინდა მიმტკიცეთ, ვინც გინდა მოწმედ მოიყვანეთ, გინდ პლეხანოვი, გინდ ღმერთი, მე კი ასეთ ფერიცვალებას ვერ შევურიგდებივარ...

გულსაკლავია, რომ საერთო შორის ძმობა-ერთობის დევიზი ასეთი უძლური გამოდგა. თუ გუშინ მთელი ქვეყნის მუშების შეერთება—კავშირზე ჰქონდა იმედი, დღეს იგივე მუშა ერთმანეთს დარევია და ჟლეტს. რასაკვირველია ეს ცეცხლი მას არ გაუჩნდება, მაგრამ ცხადია რომ ის უსუსური გამოდგა, წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ქედი მოიხარა. მაგრამ რა ეთქმით იმ ბელადთ, რომელთაც ქუჩური პრესის შთაგონებით სოციალისტობა სასაცილოთ არ ყოფნით, ფარ-ხმალით და აბჯარით შეიმოსა და გერმანელის გაგონებაზე დორბლს ყრის. ჩვენს ბატალიონში რამდენიმე კურს დამთავრებული არის როტის კამანდირად და მათთა სამარცხვინოდ უფრო სასტიკნი და უგულონი. ერთმა კაპიტანმა მისაყვედურა: აი თქვენი მაღალი სიტყვები, სანამ სტუდენტები იყავით ჩვენ მხედარნი მუქთახორად პარაზიტებად მიგაჩნდათ, ხოლო თქვენ ფორმა გამოიცვალეთ და დახეთ რას ჩადიხართ. მართლაც საშინელი ცვლილებაა, არა მარტო სტუდენტთ მთელ ხალხში, ექიმებში, ინჟინერი და სხ.

1 დეკემბერი. დღეს მომივიდა უფროსი ექიმისაგან მოწერილება: გაგზავნეთ, რომ დღეს თქვენ ხართ ვალდებული დაესწროთ.

თუმცა ვიცოდი, რომ ამგვარა დასჯა უკვე შემოღებული იყო, უფროსი ექიმი არა ერთხელ ყოფილა მოწმე ამის, თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა. რას იზამ უამისოთ ვერაფერს გახდებიო, იტყოდა ხოლმე, მაგრამ ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, არ მეგონა, რომ ქედი ასეთ ძალას მარგუნებდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, წავსულიყავი თუ არა? რისთვის დასჭირდათ ექიმი? წვნელის არჩევის ნებას გაძლევენ და მეორე, როცა დაასისხლიანებულს, შემწეობა უნდა აღმოუჩინო. მერე რისთვის აყენებენ ასეთ შეურაცყოფას ადამიანს, იმისთვის რომ თავის ნებით წავიდა შინ და სამიოდე დღის შემდეგ თვითონვე დაბრუნდა. დანიშნულ დროს წავედი. როტის კამანდირმა მთელი თავისი როტა დარაზმა, პატრიოტული სიტყვა უთხრა, შემდეგ ამოირჩია სამი სალდათი ერთს დათვლა უბრძანა, ხოლო იმას დარტყმა, დამნაშავეს ჩახადეს დააწვინეს და 25 ჯერ დაარტყეს. სალდათები თითქო ტირილში არიანო ეტყობოდა, ყველა წინაღმდეგი იყო ასეთი ინკვიზიციის, მაგრამ კრინტი ვერავის დაესძრა. თვით დამნაშავე გულდადად შეხვდა დასჯას. როცა წამოდგა მის სახეს მხეცური გამომეტყველობა ქონდა. შინ დაბრუნებისას დიდ ხანს ანგარიში ვერ მიმეცა ჩემთვის. რა უნდათ ამით. ნუ თუ გასწორება?..

ზამთარია. საღამოს 8 საათზე სალდათებისთვის ლექციის წასაკითხავათ მივიჩქარი. ყოფილ სასწავლებლის დიდ ოთახში შემომისხდება გარშემო ერთი როტა სალდათი (250 კაცი), რომელთაც უხსნი თუ როგორ უნდა დაიცვან თავი მავნე, სულთამხუთავი გაზისგან, თუ როგორ უნდა გაიკეთოს პირბადე და სათვალეები, ხოლო დასასრულ ორიოდე გამამხნევებელ სიტყვასაც ვეტყვი. ერთი ხანი ასეთია ჩემი საღამოობით საქმიანობა. და ყოველთვის, როცა მასთან მივდივარ, მახსენდება უნებურად ახლო წარსული, როცა ახლი იდეალით გატაცებული, ჩემი მცირე ცოდნას სოფლისა და პატარა დაბებში მცხოვრებთ უზიარებდი. ხოლო თემა ჩემი მაშინ სულ სხვა იყო ვიდრე ახლა. ხანდისხან ვიდაც ჩამჩურჩულებს. რა იქნება რომ ამათაც ისე ესაუბრო, როგორც იმათ წინად? ნუ თუ ხალხი შეიცვალა და ძველებური ენა მათთვის გაუგებარია და საწყენი?.. მაგრამ ამას ვერ ვასრულებ რადგან უძლური ვარ.

ეს ერთი ხანია ჩვენს ბატალიონში ახალ გაყვანილნი მორეკეს, ჯერ კიდევ მოუხეშავნი, ბევრი მათგანი ავადმყოფნი სამსახურისთვის სრულიად უვარგისნი, ამიტომ სამუშაო მოგვემატა, ბევრ მათგანს კომისიაში ვგზავნით, ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაგვყავსო. ეს რომ გაიგეს ყველა „მოიღე მოწყალებაო იძახის", ხოლო ის კი არ იცის რომ აქ ყოველი ავათმყოფობა სტატიებშია მომწყვდეული, შეიძლება ადამიანი სამსახურისთვის არ ვარგოდეს, ავათმყოფი იყოს, მაგრამ მასთან „წესდების" მუხლს ვერ შეუფარ დდეს.

ნოხირელი.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „სახ. ფურც." № 806.

## მოწერილი ამბავი

ახალციხე-ჯავახეთ. ი წელს ჩვენში —ახალციხეში, როგორც წინადაც ვწერდით გაზაფხულისებური თბილი ზამთარი გვედგა, თითქმის იანვრის დამლევს წეროებიც მიიტყუილა თბილი ქვეყნებიდან; აქა იქ შოშიების ხმაც კი გვესმოდა, მაგრამ დადგა თებერვალი თუ არა სულ სხვანაირად შეიცვალა ამინდები. დაჰბერა დასავლეთის აჭარის მთებიდან სუსხიანმა ქარმა, მოგვაყარა ბური და კორიანტელი და მოიცვა მთელი არე-მარე თოვლმა და ყინვებმა და გაჩაღდა ნამდვილი ახალციხური ჩვეულებრივი ცივი ზამთარი.

ასეთმა მოულოდნელმა ნაცვალებამ სუსხიანმა სითბოზე მიჩვეული ხალხი დიდ შეაწუხა და ბევრიც გაუფთხილებლობით გაცივდა, რის გამო ანთებისაგან მრავალიც იმსხვერპლა სამუდამოდ. ამავ ქუნთრუშა, ყვავილიც დაემატა.

მეტის მეტმა სიძვირემ ხომ სახოწარკვეთილებაში ჩააგდო ყველა, მეტადრე პურის ნაკლუვანებამ და შიშის სიძვირემ ადგილობრივი ხორბალი 7 მანეთად გახდა ფუთი და საპანე შეშა 3 მანეთამდე ავიდა. ბევრ სოფლის მებატონეს გადამალული აქვს ხორბალი და უცდიან დროს, რომ 10 მანეთზე ავიდეს ფუთი ხორბალი.

გავლილ კვირაში, რაბანოს დედათა სასწავლებელში მასწავლებლებმა გამართეს საბავშო სალიტერატურო საღამო სიმღერებით. ბავშვებმა მშვენიერად ითამაშეს „დედა-შვილი" და კითხულობდენ ლექსებსა. მღეროდენ კარგად სამღეროვო სიმღერებსაც. დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ, სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ბავშთა მშობლები არ მოეწვიათ, გარდა რამოდენიმე საპატიო პირისა და სკოლის კომიტეტის წევრებისა. გვიკვირდა რისთვის გამართეს საღამო თუ კი არ მომწვევენ მშობლებს. მათი შვილების მიერ წარმოთქმულ ლექსებს არ გააგონებდენ და მით არ ასიამოვნებდენ.

12 თებერვალს მოხდა ადგილობრივი მომხმარე საზოგადოების „მესხეთის საზოგადო კრება წლიური ანგარიშის განსახილველად. კრება მეტის მეტად უფერული იყო და ეჩქარებოდათ მალე ანგარიშით და გაეთავებინათ.

როგორც გამოირკვა, მესხეთს თავის ღვინის სავაჭრო გადაუცია თურმე 3—4 თვის წინად გამგეობის წევრსა სტ. ჩილინგაროვისთვის, რაც დღემდის არავინ იცოდა. ამის შესახებ ბევრმა უსაყვედურა გამგეობას და უჩვენა წესდების 36 მუხლი, რომლით აკრძალული აქვსთ წევრთ საოპერაციო საქმის გადაცემა, მაგრამ ყური არავის გაუბერტყავს. ჩილინგაროვები თურმე „მესხეთი"-ს „ნარიადებითა"-ც სარგებლობენ, მოაქვთ ვაგონებით ფქვილი და შაქარი. კრების დასასრულ მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები არა ფარული კენჭით, არამედ დასახელებით. ამის წინააღმდეგაც პროტესტი გამოაცხადეს ზოგიერთმა წევრებმა, დატოვეს კრების დარბაზი და გარედ გავიდნენ...

წესდების 32 მუხლში ასე სწერია: ყოველგვარი არჩევა წევრებისა, საზოგადო კრებაზე ხდება 36 და 53 მუხლების ძალით დახურული კენჭით. ამრჩევლებს ეს მუხლი აჩვენეს, მაგრამ დაარღვიეს და პირად დაასახელეს ვინცა სურდათ.

ს. უდეს აპირებენ კოპერატივის დაარსებას, 500 წევრი უკვე შეკრებიათ.

ს. ბარალეთში (ჯავახეთშია) ქართველობა შეგნების გზას დაადგა. ადგილობრივ მასწავლებლებს, აგრონომსა, ფერშლის და აგენტების მეოხებით, რომელნიც გამუდმებით ცხოვრობენ იქ. მართავენ წარმოდგენებსა და ცდილობენ ბიბლიოთეკის დაარსებას. როგორც მომწერეს ახლა, კოოპერატივის გახსნასაც აპირებენ ბარალეთელი ქართველები, რისთვისაც მომთხოვეს წესდება.

მხამიანი იხარი.

## კოოპერატიული მოძრაობა

სოფ. მოლითი (შორაპნის მაზრა). 1916 წლის მაისიდან აქ არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „იმედი", რომელიც შეძლებისადაგვარად აწვდის მცხოვრებთ პირველსაჭიროების საგნებს და მით ცოტად თუ ბევრად უმსუბუქებს მათ გაჭირვებას. ამ საზოგადოებას ყავს უკვე 650-მდე წევრი და 7000 მან. თანხა აქვს. დღიდან დაარსებისა გადაუბრუნებია 33000 მ. მეტი და წმინდა მოგება 1200 მანეთს აღემატება.

მიუხედავად ამისა, გამოჩნდნენ ბოროტგამზრახველნი (შეიძლება ვაჭრების დავალებით), რომელნიც წევრებს უქადაგებენ ყალბ ცნობებს გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოქმედებაზე და ურჩევენ თავი დაანებონ წევრობას, რადგან გამგეობა შეკრებილ თანხას გაფლანგავს და ათასი სხვა ასეთები. „კაცო, რომ მაგათ (გამგეობას) გამორჩენა არ ჰქონდეთ ამ საქმეში, განა გაისვრებიან სიმინდის მტვერში და ნავთში და ასე ერთგულათ მოეკიდებიან სქმესო?".

შეიძლება ამგვარმა ჭორიკანობამ არასასურველი შედეგი მოიტანოს და ეს ნორჩი დაწესებულება სამარისაკენ გაამგზავროს, რადგან შეუგნებელ მასაში ხშირად ჭორიკანობა სჯერათ. ამას გარდა ზოგიერთ წევრებს, როგორც გამგეობისა, ისე სარევიზიო კომისიისას, უკვე გული აუცრუვდათ და ჰფიქრობენ მომავალ საზოგადო კრების დროს (რაც აპრილშია მოსალოდნელი) თავი დაანებონ წევრობას, რადგან: „ამდენი წვალებისთვის თუ მადლობას არ მეტყვი, ნუ გამლანძღავ და ცილს მაინც ნუ დამწამებო".

ეს, რასაკვირველია, ფრიად სამწუხაროა, ამიტომ ვუსურვებთ აქ საზოგადოებას გამოიჩინოს მეტი გამჭრიახობა და იცნოს მტერი და მოყვარე —ამ ვაჟბატონებს—გაჩუმებას. თუ არ მოეხმარებიან საზოგადოებას, სხვას მაინც ნუ შეუშლიან ხელს, თორემ დრო მოვა და საზოგადოება შესაფერ მჯავრს დასდებს მათ და თუ დღეს ზოგს მოყვრებათ მიაჩნია, შემდეგ მტერს დაინახავს მათში...

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს კი მმართებთ მეტი მოთმინება, არ შეიძლება რამდენიმე პირის ნალაპარაკევი მთელს საზოგადოებას მოვახვიოთ თავზე! ვეცადოთ, შევაგნებინოთ და თუ დღეს ბრალს სდებენ დაუმსახურებლად, მაშინ მადლობასა და ნდობას გამოუცხადებენ. საქმე დაუწყიათ, უნდა განაგრძონ, თორემ თუ კი მოისპობა, ბოროტგამზრახველთაც ის უნდათ, ამით ისინი თავის მიზანს მიაღწევენ.

„ჩამორჩენილი"

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ დ. ზესტაფონში მოვაჭრე ბ. პანტელ ნიორაძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჩემდამი რწმუნებულ სამკითხველოს მთელი წლით გამოუწერა „სახალხო ფურცელი". მადლობის ღირსია აგრეთვე ქ-ნი გალინა ჭანკვეტაძისა, რომელმაც შემოსწირა სამკითხველოს ერთი მანეთი.

ს. წევის სამკითხველოს გამგე

ალ. გახეჩილაძე

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო პატივცემულ „ჯეჯილისა" და „ნაკადულის" რედაქტორებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს სოფ. არალის ქართველ კათოლიკეთა სახალხო სკოლას (ახალციხ. მაზ.) თავიანთი ჟურნალები ამ წლისათვის.

ზედამხედველ-მასწავლებელი

ი. ბარკალაშვილი


## ქართველები ჯარში

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში „სახალხო ფურცელში" გამოაცხადოთ შემდეგი: ჩემი შვილი ელიზბარი (იგივე კოლია) მსახურებდა ტფილისში— 1-ый продовольственный магазинъ, 12-ая хлѣбопекарня. ტფილისიდან, როგორც გავიგე, წაუყვანიათ,—სად, არ ვიცი და დიდი ხანია არაფერი ვიცით მის შესახებ. თუ ვინმემ იცით მის შესახებ რამე, გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი ადრესით: სოფელი დილიკაური, ბოსლევის საზოგადოება, შორაპნის მაზრა.

იოსებ გ. დათიაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ჯორჯაძე.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

| | | | ს. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 19, | 3.19 | ღღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.49 | ღღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9,23 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8.28 | |
| ხაშურის | სამგზ. | № 5, | 9.10 | |

ტფილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10 | 8.37 |
| „ | საფ. | № 4, | 7.39 |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 |
| ბაქოიდან | საფ. | № 3, | 10.02 |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 |
| ხაშურიდან | სამგზ. | . . | 6.34 |
| თელავიდან | . . | № 3, | 6.24 |

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა)

დილით:

11—12 ს. „606" და „914"

ე. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ტურბეკიული და ვენერიული. (სიფილ. ავადმყ.).

ბ. გ. აგახაროვი: 9½—[illegible] ს. შინაგანი ავადმყ.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. [illegible] სა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა. ნ. ასაკიანი: 6—7 ს. ქალ. ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთვის უფასოდ, კონსულტაციები და [illegible] რაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

## ქალების ტანისამოსის სახელოსნო

## თ. მიქელაძისა

(სასახლის ქუჩა, თეატრის ეზოში).

მიიღება შეკვეთა და შესრულება საუკეთესო ხელოსნებისაგან, კოხტად და თავის დროზე.

ჩემსავე მაღაზიაში (თამამშევის ქარვასლაში, ზემო სართული, № 31—[illegible]) არის ბლომად უკანასკნელ ფასონის ქალების ზემო ტანისამოსი. ფასი ძლიერ ზომიერია. გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ. 275

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძებველოვები

პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.

ყოველ დღე მოგვდის ახალი [illegible] ის ხიზილალა, სრულებით ცოცხალი, [illegible]ლიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზ[illegible] ა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის [illegible]. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის [illegible] თი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი [illegible] და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ [illegible] ხება. 1066

## ქარებს (რევმატიზმის)

## ნეკრისის

## თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ", [illegible] მაზი წასასმელი „ატრო" სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ [illegible] გად. ფასი „ურდონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანათი. მთელ წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ.

დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებას.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16. განყ. 1—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд. 1—9. противъ Государственнаго Банка.

## სუსუნატით (ჭინჭარით) ავადმყოფებს

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ერთი საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯელებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭამებისას და სხვ.

## რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება

## იმიტომ რომ

ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,

მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ

## ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისათვის საჭიროდება ექვსი ფლაკონი დაძველებულ ათი ფლაკონი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. I—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.




სტამბა „ქართლი" ი. ცაცაშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა